სახელმწიფო შესყიდვის ხელშეკრულება N369

ქ. ბათუმი

31 ოქტომბერი 2016 წელი

ერთის მხრივ, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის საქვეუწყებო დაწესებულება ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტი (შემდგომში „შემსყიდველი“) წარმოდგენილი მისი თავმჯდომარის მამია ბერძენიშვილის სახით და მეორეს მხრივ ფ/პ თამარ ლომაძე, პირადი ნომერი 61001075886 (შემდგომში „მიმწოდებელი”) ,,სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10[1] მუხლის მე-3 პუნქტის ,,დ“ ქვეპუნქტის, სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2016 წლის 18 იანვრის N185 განკარგულების და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის 2016 წლის 23 თებერვლის №21 განკარგულების საფუძველზე; SMP – 160000139 (CPV კოდი - 793000000); ვაფორმებთ ხელშეკრულებას სახელმწიფო შესყიდვის შესახებ შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი და ღირებულება

1.1. შესყიდვის ობიექტია: სარეკლამო მომსახურება.

1.2. შესყიდვის ობიექტი მოიცავს შიდა ტურიზმის პოპულარიზაციის მიზნით რეგიონის ტურისტული რესურსების და პროდუქტების შესახებ სარეკლამო - საინფორმაციო ხასიათის პოსტების, ბლოგების/სტატიის და სხვა აქტივობების განხორციელებას სოციალურ ქსელსა ან/და ონლაინ სივრცეში, ნოემბერი-დეკემბრის თვის განმავლობაში.

1.3. გამოქვეყნებული აქტივობის რაოდენობა თითოეული თვის განმავლობაში არ უნდა იყოს 15 ერთეულზე ნაკლები.

1.4. ხელშეკრულების საერთო ღირებულება შეადგენს **1250 (ერთიათას ორასორმოცდაათი)** ლარს, რომელშიც შედის საშემოსავლო გადასახადი 20% -250 (ორასორმოცდაათი) ლარი.

1.5. ხელშეკრულების საერთო ღირებულება მოიცავს მიმწოდებლის ყველა ხარჯსა და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ ყველა გადასახადს.

1.6. **მიმწოდებელი ვალდებულია წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების პირობები, აქტივობის შინაარსი შეათანხმოს შემსყიდველ ორგანიზაციასთან.**

1.7. განთავსებულ ინფორმაციებზე (მათ შორის ფოტო და ვიდეო მასალა) შემსყიდველი ფლობს საავტორო უფლებებს და შეუძლია მათი შემდგომში გამოყენება.

1.8. იმ შემთხვევაში, თუ მიმწოდებელი საანგარიშო თვის განმავლობაში ვერ შეძლებს ხელშეკრულებით გათვალისწინებული რაოდენობის აქტივობების განთავსებას, მომსახურება არ ჩაითვლება გაწეულად.

2. შესყიდვის ობიექტის ხარისხი და სტანდარტები

2.1. მიმწოდებელი იძლევა ვალდებულებას, რომ მიწოდებული მომსახურების ხარისხი უპასუხებს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებს

2.3 იმ შემთხვევაში, თუ მიწოდებული მომსახურება არ შეესაბამება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებს, შემსყიდველს უფლება აქვს უარი განაცხადოს უხარისხო მიწოდებული მომსახურების მიღებაზე.

3. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

3.1. კონტროლს (ინსპექტირებას) შემსყიდველის მხრიდან განახორციელებს დეპარტამენტის საზოგადოებასთან ურთიერთობისა და რეკლამის განყოფილების უფროსი ქეთევან დოჭვირი და ამავე განყოფილების მთავარი სპეციალისტი ლეილა გოგუაძე.

4. მომსახურების გაწევის ვადები და პირობები

4.1. მომსახურების გაწევა მიმწოდებლის მიერ უნდა განხორციელდეს 2016 წლის 01 ნოემბრიდან 25 დეკემბრის ჩათვლით.

5. მომსახურების მიღება–ჩაბარების წესი

5.1. მომსახურების მიღება–ჩაბარება განხორციელდება ორ ეტაპად, გაწეული მომსახურების შემდეგ, შემსყიდველისა და მიმწოდებლის მიერ მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე.
5.2. შემსყიდველის მხრიდან მომსახურების მიღება-ჩაბარების აქტზე ხელმომწერი პირებია:
ა) მამია ბერძენიშვილი - დეპარტამენტის თავმჯდომარე.
ბ) ქეთევან დოჭვირი - დეპარტამენტის საზოგადოებასთან ურთიერთობისა და რეკლამის განყოფილების უფროსი.

6. ანგარიშსწორება

6.1. ანგარიშსწორების ფორმა – უნაღდო.
6.2. ანგარიშსწორება განხორციელდება ორ ეტაპად, საანგარიშო თვის ბოლოს, მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან 10 კალენდარული დღის განმავლობაში.
6.3. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება ხორციელდება ლარებში.

7. ფასები

7.1. მიმწოდებლის მიერ დაფიქსირებული ფასი წარმოადგენს ხელშეკრულების ღირებულებით პარამეტრებს.
7.2. ხელშეკრულების ღირებულებით პარამეტრების შეცვლა ხელშეკრულების მოქმედების მთელი პერიოდის განმავლობაში დაუშვებელია.
7.3. ხელშეკრულების ღირებულებითი პარამეტრების შეცვლა დასაშვებია მხარეთა შეთანხმებით.
7.4. ხელშეკრულების ღირებულებითი პარამეტრების შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველი ორგანიზაციისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით დადგენილი შემთხვევებისა.
7.5. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული პირობების დადგომის შემთხვევაში, დაუშვებელია სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 10%-ის ზე მეტი ოდენობის გაზრდა.

8. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა და ხელშეკრულების შეწყვეტა

8.1. ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების, დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე.
8.2. თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელის მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია არანაკლებ 5 კალენდარული დღით ადრე წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.
8.3. ხელშეკრულების პირობების, მათ შორის, ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისთვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება კანონმდებლობით დადგენილი წესით.
8.4. ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

8.5. ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში, მეორე მხარე უფლებამოსილია ცალმხრივად შეწყვეტოს ხელშეკრულება, მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესითა და პირობებით.
8.6. ხელშეკრულება ასევე შეიძლება შეწყდეს მხარეთა ინიციატივით, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.

9. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

9.1 თუ „შემსრულებლის" მხრიდან სახეზეა ვალდებულების ან მისი ნაწილის არაჯეროვანი შესრულება, ან შეუსრულებლობა შემსრულებელს დაეკისრება ჯარიმის გადახდა ხელშეკრულების შეუსრულებელი ვალდებულების ღირებულების 1 %- ის ოდენობით.

10. ფორს მაჟორი

10.1. ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას და ხელშეკრულების შესრულების გარანტიის დაუბრუნებლობას, თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა არის ფორს-მაჟორული გარემოების შედეგი.
10.2. ამ მუხლის მიზნებისათვის "ფორს-მაჟორი" ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნეს ომით ან სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და საქონლის მიწოდებაზე ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით და სხვა.
10.3. ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობისდა მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

11. სადაო საკითხების გადაწყვეტა

11.1. შემსყიდველმა და მიმწოდებელმა ყველა ღონე უნდა იხმაროს, რათა პირდაპირი არაოფიციალური მოლაპარაკებების პროცესში შეთანხმებით მოაგვარონ ყველა უთანხმოება და დავა, წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული სხვა კომპონენტის ირგვლივ.
11.2. თუ შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შეძლებენ სადაო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესის მიხედვით მიმართოს საქართველოს სასამართლოს, თუ ხელშეკრულებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

12. სხვა პირობები

12.1. არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები, მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე.
12.2. მესამე პირთან ურთიერთობაში მხარეები მოქმედებენ სახელით, ხარჯებითა და რისკით.

12.3. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, სამ ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება ხელმომწერ მხარეებთან (ერთი ეგზემპლარი - მიმწოდებლს, ხოლო ორი ეგზემპლარი - შემსყიდველს). ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.

12.4. წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება ან დამატება ძალაშია მხოლოდ მას შემდეგ, რაც ის წერილობითი ფორმითაა შედგენილი და ხელმოწერილია მხარეთა მიერ.

13. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

13.1. წინამდებარე ხელშეკრულება ძალაშია მხარეების მიერ მისი ხელმოწერის თარიღიდან და მოქმედებს 2017 წლის 31 იანვრის ჩათვლით.

18. მხარეთა იურიდიული მისამართები და რეკვიზიტები

აჭარის ა/რ ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტი	*ფიზიკური პირი*
მისამართი: ქ. ბათუმი, ფარნავაზ მეფის ქ. №84/86	*თამარ ლომაძე*
საიდენტიფიკაციო კოდი: 245427809	*ქ. ბათუმი, გენ. ასლან აბაშიძის ქ. N1, ბინა 19*
	პირადი ნომერი: 61001075886
	სს „ბაზის ბანკი“
	ბანკის კოდი: CBASGE 22
თავმჯდომარე	*ანგარიში N GE 46 BS 00 0000 0066 9361 25*
_____ */მამია ბერძენიშვილი/ ბ.ა.*	_____ */თამარ ლომაძე/*